ოქმი N 1

ცაგერის მუნიციპალიტეტის ღვირიშის თემის სოფელ ღვირიშის მოსახლეობის კრების.

30.11.2022წ

კრებას ესწრებოდნენ ღვირიშის თემის სოფელ ღვირიშის 22 მცხოვრები. კრებას ასევე ესწრებოდნენ: ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გ.ხმელიძე და ამავე სამსახურის მთავარი სპეციალისტები ბ. კოპალიანი და თ.საღინაძე. კრებას ასევე ესწრებოდა ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ღვირიშის თემში თამაზ ნემსწვერიძე და მაჟორიტარი დეპუტატი მანონი ახვლედიანი .

კრების თავჯდომარე: გ.ხმელიძე

მდივანი : თ. ნემსწვერიძე

კრების დღის წესრიგი:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ.ღვირიშის ტერიტორიაზე კირქვის მოსაპოვებლად სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის თაობაზე მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გ. ხმელიძე

მომხსენებელმა კრების მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე რომ სსიპ ,,მინერალური რესურსების სააგენტო'' გეგმავს სოფ.ღვირიშის მიმდებარე ტერიტორიაზე გასცეს ლიცენზია სასარგელო წიაღისეულის კირქვის მისაპოვეაზე. საკითხის დადებითად გადასაწყვეტად საჭიროა ამ ტერიტორიის მახლობლად მცხოვრები მოსახლეობის თანხმობა.

აზრი გამოთქვეს: მ.ახვლედიანი, ბ. ხეცურიანი, რ.გიორგობიანი. თ.ნემსწვერიძე.

გამომსვლელებმა აღნიშნეს რომ მათთვის უცნობია პიროვნება რომელსაც სურს ამ ტერიტორიაზე კარიერის გახსნა. ამასთანავე, მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს მეწყრულ ზონას და მძიმე ტექნიკის გადაადგილება გამოიყვევს მეწყრული პროცესების გააქტიურებას. ასევე, გამომსვლელებმა აღნიშნეს რომ სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს სოფლის საძოვარს. აქედან გამომდინარე, სოფლის მოსახლეობა წინააღმდეგი ვართ ამ ტერიტორიაზე გაიცეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე ლიცენზია.

კრების მონაწილე 22 პიროვნებიდან ლიცენზიის გაცემაზე წინააღმდეგია 22.

დაადგინეს: უარი ეთქვას მინერალური რესურსების სააგენტოს ღვირიშის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემაზე.

კრების მინაწილეთა სახელობითი სია და ხელმოწერები უარის თქმაზე ოქმს თან ერთვის.

კრების თავჯდომარე: გ.ხმელიძე

მდივანი : თ.ნემსწვერიძე